ინფორმაცია

შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია მიიღოს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო: 1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ: ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს **კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას; ბ) გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, **გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა** ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** რეზერვუარ-სალექარის მოწყობისთვის უკვე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ სამინისტროსთვის ცნობილი გახდა წარმოდგენილი პროექტის სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვისა და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შემდგომ. სკოპინგის ეტაპზევე სამინისტრომ შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებული საქმიანობის გამოვლენის ფაქტის შესახებ, აცნობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (2019 წლის 23 აპრილს). ხოლო სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ადგილზე განახორციელა ინსპექტირება, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა ოქმი სამართალდარღვევის შესახებ. აღნიშნულის შემდგომ - იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და განესაზღვრა

		ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა. 1. საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს – როგორც მოგეხსენებათ, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარი უკვე აშენებულია და მშენებლობა განხორციელდა კანონის დარღვევით. მეტიც, შპს არ ემ ჯი აურამაინი შეეცადა დაემალა ეს ფაქტი პროექტზე სკოპინგის დასკვნის მოპოვებისას. საქმიანობის განხორციელების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან წინააღმდეგობა დადასტურებულია ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით (რომელიც სამინისტროსთვის ხელმისაწვდომია, როგორც დავის მონაწილისათვის). 2. ვინაიდან სალექარი უკვე აშენებულია, ამ ეტაპზე უკვე შეუძლებელია გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენცია.	ადმინისტრაციული სახდელი, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე სამინისტრომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების განახლება. ამასთან შესაბამის სკოპინგის დასკვნაში საქმიანობის განმახორციელებელს სხვა საკითხებთან ერთად განესაზღვრა მოთხოვნა, რომ გზშ ანგარიში წარმოდგენილიყო **ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.** ვინაიდან კომპანიის მიერ თითქმის დასრულებულია რეზერვუარ-სალექარის სამშენებლო სამუშაოები, თუმცა საქმიანობა არ არის დაწყებული, **ხოლო ზემოქმედების შესწავლას საჭიროებს საქმიანობა როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის**. შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნა გზშ-ს ანგარიში, სადაც ასახულია ინფორმაცია სალექარი-რეზერვუარის ამჟამინდელი მდგომარეობის და უკვე განხორციელებული სამუშაოების შესახებ, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეების, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესახებ. გარდა ამის სამშენებლო სამუშაოების ან საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას.

			საგულისხმოა, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-10 მუხლის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, არა მხოლოდ მშენებლობის, არამედ ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ამასთან კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა **და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ.** **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ შენიშვნაში მოცემული თქვენი მსჯელობისს მიუხედავად, წარმოდგენილ საქმიანობაზე უარის თქმას სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.**
2	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	2. განსახილველად წარმოდგენილ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებაში შპს არ ემ ჯი აურამაინის გენერალური დირექტორი თორნიკე ლიპარტია უთითებს: ,,საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ ,,შპს''არემჯი აურამაინის'' ბექთაქარის ოქრო-	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** როგორც თქვენთვის ცნობილია შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის'' მიერ სამშენებლო სამუშაოები უკვე ჩატარებული და საპროექტო ინფრასტრუქურა უკვე მოწყობილი იყო ჯერ კიდევ მოცემული პროექტის სკოპინგის ანგარიშის ადმინისტრაციუილი წარმოების ეტაპზე.

		პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად და ვადების ფარგლებში გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება“. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 და მე-11 მუხლები და ამავე კანონით გათვალისწინებული პროცედურა ითვალისწინებს **მხოლოდ დაგეგმილი და არა უკვე განხორციელებული** საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ: . . . განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის და ვერც იქნება კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით სავალდებულო ინფორმაცია, ვინაიდან საქმიანობა არა დაგეგმილი, არამედ უკვე განხორციელებულია გარემოზე	ამავე ეტაპზე, სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, კერძოდ: შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და განესაზღვრა ადმინისტრაციული სახდელი. ვინაიდან სამშენებლო სამუშაოების ან საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას. ხოლო თქვენს მიერ მითითებული კოდექსის 47-ე მუხლი არ გახლავთ პროექტთან მიმართებაში რელევანტური (*წარმოდგენილი საქმიანობა არ არის მიმდინარე, ვინაიდან უკვე ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად ექსპლუატაციაში არ შესულა, ამასთან კოდექსის 47-ე მუხლი ვრცელდება საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება*) - სამინისტრომ პროექტთან დაკავშირებით გაატარა სკოპინგის პროცედურა და შესაბამის სკოპინგის დასკვნაში საქმიანობის განმახორციელებელს დაუდგინა გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხების ჩამონათვალი (სადაც ერთ-ერთი უმთავრესი პირობა იყო - **გზშ ანგარიშის შედგენა ადგილზე არსებული**

		ზემოქმედება არა მოსალოდნელი, არამედ უკვე მომხდარია და ახლაც გრძელდება. უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება ეკოლოგიური აუდიტის (და არა გზშ-ს საფუძველზე, რომელიც მხოლოდ დაგეგმილის საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურაა) საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსურ ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს, ტარდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალებების დადგენისა და აღნიშნული საქმიანობის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, კოდექსის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ისეთ საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება (47-ე მუხლი). ამასთან, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად კომპანიას სამინისტროსათვის 2019 წლის 1 ივნისამდე უნდა მიემართა.	**ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით**). შედეგად შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ სამინისტროში წარმოადგინა გზშ-ის ანგარიში პროექტის ექსპლუატაციის შესახებ, ადგილზე არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლი ითვალისწინებს საქმიანობის შესახებ, გზშ-ის ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენას როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპისთვის. რაც შეეხება კოდექსის 47-ე მუხლს, აღნიშნული მუხლი ვრცელდება საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება.

3	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	საგულისხმოა, რომ სამინისტრომ შეცდომაში შეიყვანა დაინტერესებული საზოგადოება თავის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამინისტროში დაიწყო **დაგეგმილი საქმიანობის** შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.	წარმოდგენილ შენიშვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ პროექტის შესახებ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია (მიუხედავად იმისა რომ გარკვეულ კონტექსტში მითითებულია - **დაგეგმილი საქმიანობა**) არ შეიძლება იყოს დაინტერესებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზეზი - ვინაიდან ვებგვერდზე მითითებულია, რომ წარმოდგენილია განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - რომელიც ეხება ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის **ექსპლუატაციის პროექტს.** ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, გზშ-ის ანგარიში შედგენილია ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და აღწერილია როგორც უკვე ჩატარებული სამუშაოების, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.